პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 151

2018 წ. "07" 09

ქ. თბილისი

ა(ა)იპ - სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ

დაწესებულების მიერ თვითშეფასების ანგარიშში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 25-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და 30[1]-ე მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. ა(ა)იპ - სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯს (ს/კ: 402019917) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	სარკინიგზო გადაზიდვები (2)	მეოთხე	მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია რკინიგზის ოპერირებაში 040783	90	120	ქართული	60	ქ. თბილისი, თემქის დასახლება, 11 მ/რ, კვარტალი III, ნაკვეთი 01/10

2	ლოკომოტივის მართვა (2)	მეოთხე	მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია რკინიგზის ოპერირებაში 040783	90	120	ქართული	60	ქ. თბილისი, თემქის დასახლება, 11 მ/რ, კვარტალი III, ნაკვეთი 01/10
3	რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაცია, ცენტრალიზაცია და ბლოკირება (2)	მეოთხე	მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია რკინიგზის ოპერირებაში 040783	90	120	ქართული	30	ქ. თბილისი, თემქის დასახლება, 11 მ/რ, კვარტალი III, ნაკვეთი 01/10
4	სავაგონო მეურნეობა (2)	მეოთხე	მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია სარკინიგზო ძრავიან ტრანსპორტში 040782	90	120	ქართული	60	ქ. თბილისი, თემქის დასახლება, 11 მ/რ, კვარტალი III, ნაკვეთი 01/10
5	რკინიგზის ელექტრო მოძრავი შემადგენლობა (2)	მეოთხე	მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია სარკინიგზო ძრავიან ტრანსპორტში 040782	90	120	ქართული	30	ქ. თბილისი, თემქის დასახლება, 11 მ/რ, კვარტალი III, ნაკვეთი 01/10

(1) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;

(2) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50%-ზე მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში.

2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 7 სექტემბრის №15 სხდომის ოქმის მერვე ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №1 ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6.

თავმჯდომარე
კარლო კერვალიშვილი

მდივანი
ანასტასია ქიტიაშვილი